საქართველოს მთავრობის

დადგენილება

N573 2015 წლის 9 ნოემბერი ქ. თბილისი

„დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 2 ივნისის №245 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 2 ივნისის №245 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 04/06/2015, 010240010.10.003.018630) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების პროგრამის“:

1. **პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„დ) მოწყვლადი, დაბალკონკურენტუნარიანი ჯგუფების დასაქმების ხელშემწყობი მექანიზმების გამოვლენა და შესაბამისი წინადადებების მომზადება;“.

2. მე-3 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობის განვითარება მოწყვლადი, დაბალკონკურენტუნარიანი ჯგუფების დასაქმების ხელშეწყობის მოდელების გამოვლენისა და წინადადებების შემუშავების მიზნით.“.

3. მე-5 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) მოწყვლად ჯგუფებს მიკუთვნებული სამუშაოს მაძიებლების ღია შრომის ბაზარზე ჩართვისათვის გამოვლენილია დასაქმების ხელშეწყობის მოდელები და მომზადებულია კონკრეტული წინადადებები;“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**